



ოქმი:ო37.37221891

თარიღი:08/07/2022

ოქმი N 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2022 წელი,

6 ივლისი

ქ. ოზურგეთი

11.00 -12 .00 საათი

თავმჯდომარეობდა : დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილე ტ. აროშიძე; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: პ.კილურაძე, გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, დ. მუავანაძე, ალ. ბურჭულაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, დ.მდინარაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ლლონტი, ნ. ლაჭონია, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, თ. ნიკოლაშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, რ.დუმბაძე, ი.თუთბერიძე, თ.გოგუაძე, გ. სირაძე, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტულუში, ნ. სარჯველაძე, ნ.ნადირაშვილი.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- გ. ღურჯუმიძე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: ნ.გოლიაძე.

საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 35-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. განაცხადა, რომ საკითხების განხილვის დაწყებამდე, საკრებულოში არსებული ფრაქციებიდან თითო წარმომადგენელს ექნება განცხადების გაკეთების უფლება. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, დავით მუავანაძემ გააკეთა განცხადება. იგი მიესალმა კოლეგებსა და დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა, რომ 29 ივნისს, ქ.ოზურგეთში, ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ხვდებოდნენ მოსახლეობას, რა დროსაც, მათ

აქციის ჩატარებაში ხელი შეუშალეს საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენლებმა. დ.მუაგანაძემ, საკრებულოს წევრები მოიხსენია „ზონდერებად“ და „დაქირავებულ მონებად“. საკრებულოს თავმჯდომარემ დ.დარჩიამ მისცა სიტყვიერი გაფრთხილება და მოუწოდა კორექტულობისაკენ. დავით მუაგანაძის ამ განცხადებამ, საკრებულოს წევრებს შორის გამოიწვია დაპირისპირება. სხდომის თავმჯდომარემ, დავით დარჩიამ, კიდევ ერთხელ მოუწოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს წესრიგისაკენ და კორექტულობისაკენ. დღის წესრიგის დამტკიცებამდე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს.

ფრაქცია „ოზურგეთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ, ა.ბურჭულაძემ გააკეთა განცხადება და მოუწოდა საკრებულოს წევრებს, პატივი ეცათ ერთმანეთისთვის და ურთიერთობებისთვის. აღნიშნა, რომ, „ყველა ჩვენთაგანს შეგვიძლია შევქმნათ სხვა გარემო ურთიერთთანამშრომლობის, საკრებულო ძირითადად მოქალაქეების პრობლემების მოგვარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული“.

„ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, მ.ჩხიკვიშვილმა ითხოვა განცხადების გაკეთება. მან განაცხადა, რომ მმართველ პარტიას დღეს, ძალიან რთულ გარემოში უწევს მუშობა. ნაციონალური მოძრაობა დესტრუქციული ქმედებებით ყველანაირად ცდილობს ქვეყანაში იყოს ქაოსი, ომი და არეულობა. როცა ნაციონალური მოძრაობა იტყვის , რომ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრები არიან ზონდერები, ეს მათი მხრიდან ცინიზმია. მმართველი გუნდის მიზანია საქართველოში იყოს მშვიდობა, სტაბილურობა და საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი. ქართული ოცნების ხელისუფლების პირობებში, სწორედ ქართული ოცნების გუნდმა მოაწერა ხელი ასოცირების შეთანხმებას, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას, ვიზალიბერალიზაციას და მათი ინიციატივით ჩაიწერა კონსტიტუციაში, რომ საქართველოს უწყვეტი ნებაა ევროპული მომავალი. ამასთან ერთად, საქართველომ პირველად მიიღო ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის სტატუსი.

მეორე მხარეს დგას ანტიევროპული, პრორუსული ძალა ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ქვეყანას მართავდა ძალადობით და ადამიანის ფუნდამენტური უფლებები იყო დარღვეული. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საქართველოს უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად კანდიდატის სტატუსი არ მიეღო. ისინი არიან ქვეყნის მტრები, რომელთა მიზანია ქვეყანა ომში ჩაითრიონ.

მ.ჩხიკვიშვილმა, განაცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც პარტია არის მიღვევად რეჟიმში. მათ მოსახლეობამ არჩევნების გზით უთხრა უარი.

განცხადებების მოსმენის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ, დავით დარჩიამ გააგრძელა სხდომა და საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

25.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ.კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დადგენილება თან ერთვის

დადგენილება მიღებულ იქნა 27 ხმით.

მერის პირველმა მოადგილემ, გ.ღურჯუმელიძემ შეაფასა საკრებულოში განვითარებული მოვლენები და აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, არის ძალა, რომელიც დაკავებულია საკუთარი ქვეყნის გაშავებით.

გ.ღურჯუმელიძემ ვრცლად ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხზე. განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილების პროექტი ითვალისწინებს საკრებულოს მიერ უკვე დამტკიცებული დადგენილების გაუქმებას და ახალი დადგენილების მიღებას, შესატანია მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, ცვლილებები უნდა აისახოს შემდეგ მუხლებში: 1. მე-5 მუხლის ბ ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის გ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი, მე-19 მუხლის 1-ელი და მე-3 პუნქტები. ასევე, აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნებს წარმოადგენს: ა) სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული/თვითდასაქმებული ოჯახების (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრები) მხარდაჭერა, ბ) იმ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, რომელთა მიმდინარე/სამომავლო საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი წარმოების ზრდის, აგროტურისტული პოტენციალის განვითარების, საოჯახო მეურნეობის გაფართოების და პოპულარიზაციისკენ. გ) ადგილობრივ დონეზე თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა, დ) დასაქმების ხელშეწყობა.

37.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 384 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. N26.01.82.210) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

განკარგულება მიღებულ იქნა 27 ხმით.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

